წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 4

ქ. წალენჯიხა

2023 წლის 10 მარტი

2023 წლის 10 მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ავთანდილ გაბელია,დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,ნანა კეკუა,სოლომონ სარია, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა, ნანა ლემონჯავა,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გიორგი გოგიბერიძე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია, საკრებულოს აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 13^{00}საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,ნანა კეკუა,სოლომონ სარია, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა, ნანა ლემონჯავა,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **გიორგი გოგიბერიძე,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

2.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **თეა სარია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე

მომხსენებელი: **გელა სალია**, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი ჯატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა გიორგი გოგიბერიძემ, მან საკრებულოს წევრებს გააცნო „ სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფის" პროგრამის ცვლილების პროექტი და აღნიშნა, რომ მერიაში შექმნილმა შესაბამისმა კომისიამ პროგრამის დახვეწის მიზნით შეიმუშავა კრიტერიუმები და ქულათა დაჯამებით მოხდება ბენეფიციართა გამოვლენა. პროგრამა უზრუნველყოფს მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის საცხოვრისით უზრუნველყოფას არაუმეტეს 35 000 ლარის ფარგლებში, თუ განმცხადებლის საცხოვრებელი ფართი არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. თუ შესაძლებელია სახლის რეაბილიტაცია, მერია უზრუნველყოფს „ერთი ოთახის" მოწყობას, არაუმეტეს 10 000 ლარის ფარგლებში.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვა მოსაზრება, რომ პროგრამით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შეგროვება პრობლემას შეუქმნის ბენეფიციარს, კერძოდ, ყველაზე მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე პირები, რომლებსაც რეგისტრირებული არა აქვთ მიწის ნაკვეთები, დარჩებიან პროგრამის მიღმა. მას მიაჩნია, რომ ეს მუხლი ამოსაღებია. სწორედ ასეთი გართულებების გამო იშლება ტენდერები და პროგრამა ვერ ამუშავდა.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით, ჩატარდა თუ არა კვლევა მუნიციპალიტეტის მასშტაბით და რამდენი მოსახლე შეიძლება იყოს ამ პროგრამით მოსარგებლე. პროგრამით მოსარგებლეთა კრიტერიუმების გართულების გამო ხდება სწორედ ტენდერების ჩავარდნა. ასეთი მიდგომა უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანს.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ სჯობდა წინასწარი კომუნიკაცია ყოფილიყო სავარაუდო მიმწოდებლებთან და ბაზრის კვლევა მერე ჩატარებულიყო. ტენდერი ბაზრის კვლევის გარეშეც ტარდება, როცა გადაუდებელი აუცილებლობაა გამარტივებული ტენდერიც შეიძლება გამოცხადდეს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ მიმართა მომხსენებელს, რომ შესამცირებელი იყო მოთხოვნილი საბუთების ოდენობა, იმდენად რამდენადაც საცხოვრებელი

პირობების გაუმჯობესების აუცილებლობა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეხება, გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი მდგომარეობა და მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად უნდა დაეხმაროს. გათვალისწინებით ამისა, პროგრამაში ჩასართავად არ უნდა იყოს შექმნილი ზედმეტი ბარიერები და არ უნდა იყოს ამ საკითხებზე ბიუროკრატიული მიდგომა.

საკრებულოს წევრმა გელა აბულაძემ აღნიშნა , რომ წინა წელს ამ პროგრამამ ვერ იმუშავა მერიის გაუმართავი მუშაობის გამო, მ/წელს ერთად უნდა დადგეს თვითმმართველობა, რათა შესაძლებლობა მიეცეს მოსახლეობას ისარგებლოს ამ პროგრამით.

მომხსენებელმა უპასუხა, საკრებულოს წევრების შეკითხვებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩაერთვებიან ის პირები, ვისაც საკარმიდამო მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული აქვს, ჩამოთვლილი კრიტერიუმები ერთიანობაში ქმნის საფუძველს მუნიციპალიტეტმა საცხოვრისით დააკმაყოფილოს ის ბენეფიციარი, რომელსაც ის ყველაზე მეტად სჭირდება.

მუნიციპლაიტეტის მერის მოადგილემ თამარ ბელქანიამ განმარტა , რომ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა შესაბამისმა კომისიამ იმუშავა ზემოაღნიშნულ საკითხებზე, სათანადო დოკუმენტაცია გადასცა შესაბამის სამსახურს, რომელმაც გამოაცხადა ბაზრის კვლევა, რომელიც ვერ შედგა და ტენდერიც ავტომატურად ვერ გამოცხადდებოდა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,ნანა კეკუა,სოლომონ სარია, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა, ნანა ლემონჯავა,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N11.

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილება გამოწვეულ იქნა „ სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფის“ პროგრამაში შესულმა ცვლილებებმა, რომელიც უნდა აისახოს ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილში, ცვლილებები გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას 20 000 ლარის ფარგლებში.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,ნანა კეკუა,სოლომონ სარია, ბესიკ ფარცვანია,დათა

კუკავა, ნანა ლემონჯავა,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N12.

მოისმინეს: 3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ, მან საკრებულოს გააცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარსადგენი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები. საკრებულოს წევრების შეკითხვებზე, გელა სალიამ უპასუხა, რომ პროექტების გაერთიანება მოსაზღვრე დასახლებებში განხორციელდა მოსახლეობის თანხმობითა და მხარდაჭერით, მაგალითად, ზედა მაზანდარის უბანმა და ზღვაიას დასახლებამ მოითხოვეს პროექტების გაერთიანება და ერთობლივი თანხით პარკის გაშენება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,დავით ბელქანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,ნანა კეკუა,სოლომონ სარია, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა, ნანა ლემონჯავა,თემურ ქარდავა, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე განკარგულება N5.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე **კორნელი სალია**